

გამოცემულია

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ

დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის
საქართველოს წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით

სახელმწიფო სუბსიდიების სააგენტოსთან თანამშრომლობით



© საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

საქართველო, თბილისი, 0105, გ.ორბელიანის 35

ტელ: 92 28 39, 99 04 43, 93 64 75, 92 31 22

ფაქსი: 92 24 61

www.economists.ge

E-mail: office@economists.ge

წინასიტყვაობა

სიღარიბის დაძლევა დღეს ქვეყნის პრიორიტეტული ამოცანა და მთავარია მიზანია, რისთვისაც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროგრამები როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე.

სოციალური სისტემების რეფორმის შედეგად 2006 წლიდან ამოქმედდა სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომლის მთავარი დანიშნულებაა დახმარების მიზანმიმართული და საჭიროების მიხედვით განაწილება და ამგვარად სიღარიბის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება ქვეყნის მასშტაბით.

2006 წლის ივნისიდან საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ სოციალური დაცვისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობითა და „ოქსფამის“ საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით დაიწყო ახალი ინიციატივის განხორციელება – „სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგი“. აღნიშნული ინიციატივა არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის წარმატებულ გამოცდილებას წარმოადგენს.

მონაწილეობითი მონიტორინგის ფარგლებში პირველი პროექტი განხორციელდა სამეგრელოს რეგიონში. აღნიშნული პროექტის შედეგებმა აჩვენა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის ინიციატივების განხორციელება. შედეგად 2007-2008 წლებში პროექტი განხორციელდა აჭარის (ა.რ.) რეგიონში. პუბლიკაციაში მოცემულია აჭარის რეგიონში ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგია, შედეგები და ძირითადი მიგნებები.

ტექსტი შიგამოყენებული ოქროშინებიდა შემოკლებები

სააგენტო — საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო სოციალური სუბსიდიების სააგენტო“.

ოჯახი — განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომელიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (საცხოვრებელი ადგილის ერთობლივი გამოყენება, მისი მოვლა-პატრონობა, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვება და ამ საშუალებების ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგება-განაწილება). ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი.

სოციალური აგენტი — სსიპ „სახელმწიფო სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს რეგისტრირებული მაძიებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას.

სარეიტინგო ქულა — პირობითი ერთეული, რომელიც მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ მაძიებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელია.

ბენეფიციარი ოჯახი — სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი, რომელიც გახდა სოციალური დახმარების მიმღები.

არაბენეფიციარი ოჯახი — სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი, რომელიც ვერ გახდა სოციალური დახმარების მიმღები.

შინაარჩისი

პროექტი - „სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგი“	5
სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა.....	8
კვლევის აღწერა და მეთოდოლოგია	17
ჩატარებული კვლევების შეჩევის მეთოდოლოგია	20
რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები	22
რაოდენობრივი კვლევის შედეგების აღწერა.....	27
რატაკი ოჯახების კვლევის ძირითადი მიგნებები.....	46
რატაკი ოჯახების კვლევის შედეგების აღწერა.....	49
აჭარის რეგიონში პროექტის მიმდინარეობისას გამოვლენილი საინტერესო შემთხვევები.....	62

პროექტი – „სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგი“

პროექტი ხორციელდება სოციალური სუბსიდიების სააგენტოსთან თანამშრომლობით დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

განხორციელების პერიოდი: მაისი, 2007 – აპრილი, 2008.

პროექტის განხორციელების ღოვანია: აჭარის რეგიონი.

პროექტის მიზანია მდგრადი მონაწილეობითი მონიტორინგის სქემის შემუშავება სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მონაწილეობითი მონიტორინგის ფასილიტაციის გზით; ასევე მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის სიღარიბისა და უწყეოთა საკითხებზე ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობების გაძლიერება, რათა გაღრმავდეს დიალოგი საზოგადოების სხვადასხვა სექტორებს შორის დარიბი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

პროექტის განხორციელება ეფუძნება თანამშრომლობის პრინციპებს და, ამასთან, სოციალური სუბსიდიების სააგენტო დაინტერესებულია კვლევის შედეგებით. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარი სწორედ სოციალური სუბსიდიების სააგენტოა, ხოლო ირჩიბ ბენეფიციარად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი აჭარის რეგიონის ოჯახები გვევლინება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეხვედრები და კონსულტაციები სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან;
- ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახების რაოდენობრივი კვლევა (2 ფაზა – ზაფხულისა და ზამთრის სეზონი);
- ღატაკი ოჯახების იდენტიფიკაცია და კვლევა ბენეფიციარი ოჯახების გამოკითხვის საფუძველზე;
- ტრენინგი აჭარის რეგიონის სოციალური აგენტებისთვის;
- სამუშაო შეხვედრა ჩატარებული კვლევების შედეგებსა და მიგნებებზე;
- კვლევების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება და პრეზენტაცია.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა აჭარის რეგიონში მცხოვრები 1100 ოჯახის (600 ბენეფიციარი და 500 არაბენეფიციარი) რაოდენობრივი კვლევის 2 ფაზა. კვლევის მიზანი იყო ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახების მდგომარეობის შედარება ზაფხულისა და ზამთრის სეზონზე.

კვლევის შედეგადაც შეფასდა მონაცემთა ბაზების ფორმირების პროცესი, ასევე კვლევის პროცესში გამოვლინდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურული და თვისობრივი პრობლემა.

რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხულ ოჯახებთან მიმდინარეობდა ღატაკი ოჯახების იდენტიფიკაციის კვლევა. გამოკითხული ოჯახები ასახელებდნენ, მათი აზრით, მათ თეშვი მცხოვრებ ყველაზე ღატაკ

ოჯახებს. სულ დასახელდა 697 ოჯახი, საიდანაც შეირჩა 300 ყველაზე ხშირად დასახელებული დატაკი ოჯახი და ჩატარდა კვლევა.

კვლევების დასრულების შემდეგ მოეწყო სამუშაო შეხვედრა, სადაც დეტალურად იყო განხილული რაოდენობრივი კვლევისა და დატაკი ოჯახების კვლევის შედეგები და მიგნებები. სამუშაო შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა კვლევის პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა ოჯახის საინტერესო შემთხვევები.

აღნიშნული პროექტი არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის უნიკალური პრეცენდენტია, როდესაც ორივე მხარე თანაბრად არის დაინტერესებული პრობლემებისა და ხარვეზების გამოვლენასა და მოგვარებაში. შესაბამისად, კვლევების შედეგები და გამოვლენილი პრობლემები მოახდენს გავლენას სახელმწიფო სოციალური დამარტების პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაზე. შედეგად კი, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოში სიღარიბის დაძლევის მიმართულებით.

სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა

სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რეგისტრაციისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირება 2005 წლიდან დაიწყო. იმ პერიოდისათვის საქართველოში არსებული სოციალური დახმარების სისტემა საკმაოდ მოუქნელი და არაეფექტური იყო, რამაც, ფაქტობრივად, აუცილებელი გახადა სოციალური სისტემის რეფორმა.

2005 წლამდე სოციალური დახმარების სისტემა დაფუძნებული იყო კატეგორიებზე, შესაბამისად, სოციალური დახმარება გაიცემოდა გარეგნებული კატეგორიის, სტატუსის მქონე ადამიანებზე (მარტოხელა, არამომუშავეებისაგან შემდგარი ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი დედები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ბავშვობიდან ინგალიდები და პირველი ჯგუფის უსინათლო ადამიანები).

ამ სტატუსის მქონე ადამიანები სიღარიბის მაღალ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებან და გარკვეულწილად სოციალური დახმარების ასეთი სისტემა გამართლებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი იყო იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ამ კატეგორიას არ განეკუთვნებოდნენ, მაგრამ ცხოვრიბდნენ უკიდურეს სიღარაკეში და შესაბამისად, გერ ღებულობდნენ სოციალურ დახმარებას.

სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრის გამო დღის წესრიგში დადგა საკითხი, განსაზღვრულიყო მოსახლეობის ის კატეგორია, რომებიც პირველ რიგში საჭიროებდნენ სოციალურ დახმარებას.

ასეთი კატეგორიის მოსახლეობის იდენტიფიცირებისათვის შემუშავდა სპეციალური მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაზღვენა.

2005 წლიდან სახელმწიფო სოციალური სუბსიდიების სააგენტო ახორციელებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების“ სახელმწიფო პროგრამას, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით ყველაზე გაჭირვებული ოჯახების აღრიცხვას. ნებისმიერ ოჯახს, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მიჩნევს, რომ იმყოფება უკიდურეს გაჭირვებაში, საჭიროებს დახმარებას და აქვს დახმარების მიღების სურვილი, შეუძლია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებული საკომუნიკაციო პუნქტის მეშვეობით მიიღოს განაცხადის ფორმა, შეავსოს იგი და ჩააბაროს იმავე საკომუნიკაციო პუნქტში.

ჩაბარებული განაცხადის საფუძველზე, ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ მისამართზე მიდის სააგენტოს წარმომადგენელი - სოციალური აგენტი, რომელიც შეისწავლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად ავსებს სპეციალურ დოკუმენტს — „ოჯახის დეკლარაციას“, რომელშიც ფიქსირდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დეკლარირებული ინფორმაცია (ოჯახის დემოგრაფიული მონაცემები, შემოსავლები, საცხოვრებელი პირები, მათ მფლობელობაში არსებული ქონება და სხვ.).

დეკლარაციის შევსების წინ სოციალური აგენტი აფრთხილებს ოჯახს, რომ მის მიერ დეკლარირებული მონაცემების გადამოწმებისას სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში ოჯახს უუქმდება რეგისტრაცია და მომდევნო 3

წლის განმავლობაში კარგავს უფლებას, განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

აღნიშნული პროცედურის შემდეგ ოჯახი ღებულობს ეწ. „მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მოწმობას“, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკური ფორმის დოკუმენტს და გაიცემა მხოლოდ მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულ ოჯახებზე. მოწმობაში დაფიქსირებულია ოჯახის შესაბამისი სარეიტინგო ქულა. მოწმობის მიღება შეუძლია ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან ქმედითუნარიან წევრს ან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ვინაობის დადგენის მიზნით ოჯახის წარმომადგენელმა მოწმობის აღებისას უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის (ბინადრობის) მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი), წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმობა არ გაიცემა. მოწმობის გაცემით რეგისტრაციის პროცედურა დამთავრებულად ითვლება.

დეკლარაციის შევსების დასრულების შემდეგ, მასში დაფიქსირებული მონაცემების სისტორე დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისა და სოციალური აგენტის ხელმოწერებით. შემდეგ ეტაპზე სააგენტო უზრუნველყოფს დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების დამუშავებას და დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით ახდენს ოჯახის სარეიტინგო ქულის დადგენას, რომელიც შეესაბამება ოჯახის კეთილდღეობის დონეს. რაც უფრო დაბალია სარეიტინგო ქულა, მით უფრო „ღატაკია“ ოჯახი.

სარეიტინგო ქულა წარმოადგენს მყარ ერთეულს, რომელიც განსაზღვრავს მიღებს თუ არა ოჯახი პროგრამით გათვალისწინებულ

დახმარებას. დღეისათვის ფულად სოციალურ დახმარებას დებულობენ ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოლოგიის მისამართულობა საკმაოდ მაღალია, რასაც უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებენ. დახმარების პროგრამების მეთოდიკის მისამართულობის შეფასება მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია შემდეგი კოეფიციენტით:

K-ბენეფიციართა წილი სამიზნე ერთობლიობაში/სამიზნე ერთობლიობის წილი პოპულაციაში.

ეს კოეფიციენტი მიუთითებს, რამდენად უკეთესია მოცემული მეთოლოგიის გამოყენება ნეიტრალურთან შედარებით (ანუ დახმარება შემთხვევით რომ გაგენა წილებინა).

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული სოციალური დახმარების 253 პროგრამა. მათი ინფორმაციით, მისამართულობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი იყო არგენტინაში განხორციელებული სოციალური დახმარების პროგრამაში K=4 და ესტონეთში K=3,47, ყველა სხვა დახმარების პროგრამაში აღნიშნული კოეფიციენტი სამზე ნაკლები იყო.

საქართველოში განხორციელებული მოდელის შემთხვევაში K=4,05, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალის.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ სოციალური დახმარების აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ოჯახის წევრთა რაოდენობას, ანუ ფულადი სოციალური დახმარება გაიცემა სულადობის მიხედვით. ერთსულიან ოჯახზე ფულადი სოციალური დახმარება განსაზღვრულია 30 ლარის

ოდენობით, ყველა მომდევნო სულზე კი დამატებით გაიცემა 12 ლარი, ანუ თუ ერთსულიანი ოჯახი დებულობს 30 ლარს, ორსულიანი მიღებს 30+12 ლარს, სამსულანი 30+12+12 ლარს და ა.შ.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ანალიზშა ცხადყო, რომ ოჯახების უმრავლესობა ისედაც მწირი შემოსავლის ყველაზე დიდ ნაწილს ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯავდა, რაც აღნიშნული კატეგორიის ოჯახებისათვის საკამოდ დიდი ტფირთი იყო. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად 2006 წლის 1 ივნისიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ახალი პროგრამა - „სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო დაზღვევის პროგრამა“, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის ყველაზე დარიბი ფენის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

დღეისათვის უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

სამედიცინო მომსახურებაში იგულისხმება ოჯახის ექიმის კონსულტაცია როგორც სამედიცინო ცენტრებში, ასევე ბინაზე; ექიმის მიმართვის საფუძველზე სპეციალისტის კონსულტაცია (ქირურგი, გინეკოლოგი, ოფთალმოლოგი, პედიატრი, ნეფროპათოლოგი, ენდოკრინოლოგი, კარდიოლოგი და ა.შ.); აუცილებელი დიაგნოსტიკური ღონისძიებები (სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლში გლუკოზის დონის განსაზღვრა, ელექტროკარდიოგრაფია, ექოსკოპია, რენტგენოლოგიური გამოკვლევა); მწვავე-გადაუდებელი მდგომარეობის შემთხვევაში

შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევა; სპეციალისტის წარდგინების საფუძველზე გეგმიური სტაციონარული მომსახურების უზრუნველყოფა (კატარქტა, გლაუკომა, საშვილოსნოს მიმმა, საკეტერცხის კისტოზური დაავადებები, თაიაქარკვეთა, თირეოქტომია, პროსტატის ადენომა, ქოლეცისტექტომია, ონკოლოგიური ოპერაციები, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ოპერაციები).

2008 წლის აპრილის მონაცემებით საქართველოს მასშტაბით ფულად სოციალური დახმარება და ჯანდაცვის პოლისი მიღლო 160 500 ბენეფიციარმა ოჯახმა (სარეიაგინგო ქულა ნაკლებია 57000-ზე), (იხ. ცხრილი № 1). რაც შეეხება არაბენეფიციარ ოჯახებს, რომელთაც მიღლეს ჯანდაცვის პოლისი (სარეიაგინგო ქულა 57000 – 70 000), მათი რაოდენობა 2008 წლის აპრილის მდგომარეობით შეადგენს 95 167 ოჯახს (იხ. ცხრილი №2).

2008 წლის აპრილის მონაცემებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 461 143 ოჯახი, რომელთაგან 205 396 ოჯახის სარეიაგინგო ქულა აღემატება 70 001-ს და, შესაბამისად, ვერ ღებულობს გერც ფულად სოციალურ დახმარებას და გერც სამედიცინო დაზღვევას.

სოციალური დახმარების აღნიშნული პროგრამა რეგულირდება საქართველოს კანონით „სოციალური დახმარების შესახებ“ და შემეგი კანონქვემდებარებული აქტებით:

1. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილება ქვეყანაში სიღარაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

2. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს №126 დადგენილება - „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივნისის დადგენილება - „სოციალური დახმარების შესახებ“;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 27 აპრილის № 120/6 ბრძანება - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად განაცხადის ფორმის და მისი მიღების აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 29 სექტემბრის №1-1/1024 ბრძანება — „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 თებერვლის №34/6 ბრძანება - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახთა მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანება - „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშნვისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

ცხრილი № 1

ბენეფიციარი ოჯახები, რომელთაც ასევე აქვთ ჯანდაცვის პოლისი

რეგიონი	ოჯახის რაოდენობა
თბილისი	20 393
გურია	7 643
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8 149
კახეთი	21 457
იმერეთი	32 005
მცხეთა-მთიანეთი	8 426
სამეგრელო-ზემო სვანეთი	22 141
სამცხე-ჯავახეთი	4 883
ქვემო ქართლი	10 309
შიდა ქართლი	14 579
აჭარა	10 272
ზემო აფხაზეთი	323
სულ	160 500

¹ 2008 წლის აპრილის მდგრმარეობით

ცხრილი № 2²

არაბენეფიციარი ოჯახები, რომელთაც აქვთ ჯანდაცვის პოლისი

რეგიონი	ოჯახის რაოდენობა
თბილისი	11 137
გურია	4 556
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2 280
კახეთი	12 964
იმერეთი	18 932
შიდა-შავაბათი	3 522
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10 694
სამცხე-ჯავახეთი	4 608
ქვემო ქართლი	9 338
შიდა ქართლი	8 882
აჭარა	8 213
ზემო აფხაზეთი	41
სულ	95 167

² 2008 წლის აპრილის მდგომარეობით

კვლევის აღწერა და მეთოდოლოგია

სოციალური დახმარების პროგრამის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ზეგავლენის, ასევე პროგრამის მიმდინარეობის შეფასებისათვის აჭარის რეგიონში ჩატარდა ორი ტიპის კვლევა: პროგრამის ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახების რაოდენობრივი კვლევა და ღატაკი ოჯახების კვლევა.

რაოდენობრივი კვლევის შერჩევის ზომა იყო 1100 (600 პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი და 500 – არაბენეფიციარი) ოჯახი. კვლევა ჩატარდა 2 ფაზად აჭარის რეგიონის მასშტაბით (იხ. ცხრილი №3).

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- პროგრამის ზეგავლენის შეფასება შინამეურნეობათა ცხოვრების დონეზე;
- ზაფხულისა და ზამთრის სეზონზე ოჯახების სხვადსხვა მაჩვენებლების შედარება;
- დახმარების მიღების შემდეგ შინამეურნეობის ხარჯების სტრუქტურაში ცვლილებების გამოვლენა;
- შინამეურნეობათა სოციალური საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- პროგრამის მიზანმიმართულების შეფასება;
- ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახების შედარება სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით.

კვლევის შეთოდი იყო ანკეტირება პირისპირ ინტერვიუს გზით. კითხვარების შემუშავებასა და შინამეურნეობების შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სპეციალისტებმა.

ცხრილი №3

საკვლევი ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახების რაოდენობა რაიონების მიხედვით

ლოგაცია	ბენეფიციარი	არაბენეფიციარი	სულ
ბათუმი	126	105	231
ქედა	42	35	77
ქობულეთი	150	125	275
შუახევი	60	50	110
ხელვაჩაური	132	110	242
ხულო	90	75	165
სულ	600	500	1100

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახთან ჩატარებული იდენტიფიკაციის კვლევის საფუძველზე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ღატაკი ოჯახების კვლევა, რომლის დროსაც გამოიკითხა 300 ოჯახი.

ღატაკი ოჯახების კვლევისთვის სპეციალურად შემუშავდა ანკეტა, სადაც გათვალისწინებული იყო კითხვები როგორც ბენეფიციარი, ასევე არაბენეფიციარი ოჯახებისთვის.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ყველაზე ღატაკად დასახელებული ოჯახების გამოვლენა;

- ღატაკ ოჯახებში დახმარების მიღების ან არ მიღების ზეგავლენის შეფასება;
- შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ანალიზი;
- ოჯახების სხვადასხვა პირველადი და სოციალური საჭიროებების იდენტიფიკაცია.

კვლევა ჩატარდა აჭარის სხვადასხვა რეგიონში. საკვლევი ბაზა განისაზღვრა ყველაზე ხშირად დასახელებული ოჯახების საფუძველზე. შესაბამისად, გამოკითხული ღატაკი ოჯახები აჭარის სხვადასხვა რაიონზე არათანაბრად გადანაწილდა (**ცხრილი №4**).

ცხრილი №4

გამოკითხული ღატაკი ოჯახები რაიონების მიხედვით

ლოკაცია	რაოდენობა
ბათუმი	14
ქედა	21
ქობულეთი	21
ხელვაჩაური	151
ხულო	93
სულ	300

ჩატარებული კვლევების შერჩევის მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევა

შერჩევის ბაზა - სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზა; გამოკვლევის არეალი - აჭარის რეგიონის რაიონები.

შერჩევის მოცულობა - 1100 ინტერვიუ, 2 ფაზა (600 პერსონალი, 500 არაპენეტური ინტერვიუ).

შერჩევის დიზაინი - ქალაქებში სტრატიული შერჩევა, სოფლებში კლასტერული შერჩევა.

შერჩევის მოცულობა გადანაწილდა რაიონებზე მათში აპლიკაციების რაოდენობის პროპორციულად.

ყოველ შერჩეულ სოფელში განისაზღვრა 11 ინტერვიუს ჩატარება (6 ბენეფიციართან, 5 არაპენეტური ინტერვიუთან)

ყოველ რაიონში შესარჩევი სოფლების რაოდენობა N_R განისაზღვრა ფორმულით:

$$n_R = \frac{N_R}{11}$$

სადაც N_R არის რაიონის სოფლებში ჩასატარებელ ინტერვიუთა რაოდენობა.

ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა ლოკაციების მიხედვით

რაიონი	ბენეფიციარი		არაბენეფიციარი		სულ	შერჩეული სოფლები
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი		
ბათუმი	126	0	105	0	231	0
ქედა	6	36	5	30	77	6
ქობულეთი	30	120	25	100	275	20
შუახევი	6	54	5	45	110	9
ხელგაჩაური	6	126	5	105	242	21
ხულო	6	84	5	70	165	14
სულ	180	420	150	350	1100	70

სოფლების შერჩევა განხორციელდა ზომის პროპორციული ალბათობით (PPS). ოჯახების შერჩევა ქალაქებსა და სოფლებში განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

ყოველ ქალაქსა და შერჩეულ სოფელში ფორმირებულ იქნა დამატებითი შერჩევა. იმ შემთხვევაში, თუ ძირითად შერჩევაში მოხვედრილი ოჯახი უარის განაცხადებდა ინტერვიუზე, იგი იცვლებოდა იგივე დასახლებული პუნქტის სხვა ოჯახით დამატებითი სიიდან.

ღატაკი ოჯახების კვლევა

შერჩევის ბაზა – რაოდენობრივი შერჩევის დროს გამოკითხული ოჯახების მიერ დასახელებული ოჯახები – აჭარის (ა.რ.) რეგიონის რაიონები.

შერჩევის მოცულობა – 300 ინტერვიუ;

შერჩევის დიზაინი – რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული ოჯახები.

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიზნები

აჭარის რეგიონში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის ორი ფაზა, ზაფხულისა და ზამთრის სეზონზე. გამოიკითხა 600 ბენეფიციარი და 500 არაბენეფიციარი ოჯახი. რაოდენობრივი კვლევის ორი ფაზის ჩატარების მიზანი იყო სეზონების მიხედვით ოჯახების მატერიალური მდგომარეობის შეფასება, შემოსავლის წყაროებისა და ხარჯების სტრუქტურის შედარება და ანალიზი.

- ზაფხულისა და ზამთრის სეზონზე ოჯახების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა თითქმის იდენტურია. გამოკითხულ ოჯახებს ზაფხულის სეზონზე ძირითადად არ მიუღიათ შემოსავალი საცხოვრებელი ფართის ტურისტებზე გაქირავებით ან სხვა დაკავშირებული საქმიანობიდან.
- ერთმანეთისგან განსხვავდება ხარჯების საშუალო ოდენობა კომპონენტების მიხედვით ზაფხულისა და ზამთრის სეზონზე. როგორც ბენეფიციარი ასევე არაბენეფიციარი ოჯახების მიერ საკვებზე გაწეული ხარჯის ზამთრის მაჩვენებელი აღემატება ზაფხულის მაჩვენებელს.
- ბენეფიციარი ოჯახების მიერ ზაფხულში საკვებზე გაწეული ხარჯი თვეში საშუალოდ 79 ლარია, ხოლო ზამთარში – 103, ხოლო

არაბენეფიციარ ოჯახებს ზაფხულში საკვებზე გაწეული საშუალო
ხარჯი შეადგენს 91 ლარს, ხოლო ზამთარში – 128 ლარს.

- სეზონურად განსხვავებულია კომუნალური გადასახადებზე გაწეული ხარჯი. ბენეფიციარი ოჯახები აღნიშნულ კომპონენტზე ზაფხულში გასწევენ საშუალოდ 9 ლარს, ხოლო ზამთარში – 15 ლარს, არაბენეფიციარ ოჯახები კი ზაფხულში საშუალოდ 13 ლარს, ხოლო ზამთარში 19 ლარს.
- რესპონძენტების ძირითადი ნაწილი ინფორმაციას პროგრამის შესახებ ტელევიზიის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით იღებს.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობას მცდარი ან/და არასრულყოფილი წარმოდგენა აქვს პროგრამის მეთოდოლოგიისა და შესაბამისად, ოჯახის შეფასების კრიტერიუმების შესახებ. არაბენეფიციართა 39.1%-ის აზრით, ოჯახის შეფასებისას განსკუთრებული ყურადღება ტელევიზორის ექცევა, ხოლო 23.6% მიჩნევს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ნივთი მაცივარია. საყურადღებოა, რომ მხოლოდ 19.8%-მა განაცხადა, რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას ოჯახის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

- კვლევის პროცესისასთვის ბენეფიციარ ოჯახთა 85.8%-ს ჰქონდა დახმარება დანიშნული, მათგან 21% კი მაინც არ იღებდა ფულად შემწეობას; ამასთან, ბენეფიციართა 10.8%-ს შეჩერებული ჰქონდა დახმარება, მათი უმეტესობა ვერ ასახელებს შეჩერების მიზეზს.
- გამოკითხული ოჯახების შემოსავლების სტრუქტურაში დიდი ნაწილი ვალს უჭირავს. ვალის მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად თანაბარია როგორც ბენეფიციარ, ასევე არაბენეფიციარ ოჯახებში ზაფხულისა და ზამთრის სეზონებზე.
- ოჯახებს შემოსავალი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ საკვებსა და შემდეგ კი მედიკამენტებზე ჰყოფნით. ვალების ძირითადი ნაწილიც სწორედ საკვებსა და მედიკამენტების ყიდვისთვის აქვთ აღებული.
- ლარიბი ოჯახების ხარჯების სტრუქტურაში საკვებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სოციალური დახმარების პროგრამის მიღების შემდეგ ბენეფიციარებისათვის გაიზარდა მოხმარებული საკვების მოცულობა და ნაწილობრივ გაუმჯობესდა რაციონი.
- ოჯახების მიერ მოხმარებული საკვები და სამიმხმარებლო პროდუქტების სტრუქტურა მსგავსია ბენეფიციარ და

არაბენეფიციარ ოჯახებში, თუმცა არაბენეფიციარი ოჯახების მიერ
პროდუქტების საყიდლად გაწეული ხარჯები აღემატება ბენეციარი
ოჯახების მიერ გაწეულ ხარჯებს.

- გამოკითხული ოჯახები ძირითადად მოიხსარენ ხორბლის ფქვილს,
შაქარს, მარილს, ზეთს, მაკარონსა და ვერმიშელს.
- მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარების მიღება
გარკვეულწილად განაპირობებს კვების რაციონის გაუმჯობესებას,
გამოკითხული ოჯახები მიიჩნევენ, რომ გაორმაგებული
შემოსავლის მიღების შემთხვევაში თანხას ისევ საკვებსა და
მედიკამენტებზე დახარჯავდნენ.
- გამოკითხული ოჯახების 59,1%-ს აღებული აქვს ჯანდაცვის პოლისი.
აღნიშნული პოლისი ოჯახებმა საშუალოდ ორჯერ გამოიყენეს.
საერთო ჯამში, ჯანდაცვის პოლისით ისარგებლა გამოკითხული
ოჯახების 14,3 %-მა.
- გამოკითხული ბენეფიციარი ოჯახების საშუალო ხარჯები თვეში
139 ლარს შეადგენს, ხოლო არაბენეფიციარების ხარჯია 188 ლარი.
- ოჯახების უმრავლესობა თვეში საშუალოდ 1-2ჯერ ყიდულობს
მედიკამენტებს. ამასთან, ბენეფიციარი ოჯახების მიერ

მედიკაშენტებზე გაწეული ხარჯები შეტია, ვიდრე არაბენეფიციარი ოჯახების.


- დასაქმების დონე ძალზედ დაბალია როგორც ბანეფიციარ ($2,6\%$), ასევე არაბენეფიციარ ($10,4\%$) ოჯახებში. დასაქმებულთათვის სახელფასო შემოსავლი საშუალოდ თვეში 157 ლარია.
- ბენეფიციარი ოჯახების $34,4\%$ სოციალური დახმარების პროგრამას დადებითად აფასებს, ხოლო არაბენეფიციარი ოჯახების 71% მიმჩნევს, რომ პროგრამა არასამართლიანად მიმდინარეობს.
- ინტერვიუერის შეფასებით, გამოკითხული ოჯახების უმეტესობა ღატაკია, ხოლო რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, ბენეფიციარ ოჯახებში ბევრად ცუდი მდგომარეობაა, ვიდრე არაბენეფიციარ ოჯახებში.
- არაბენეფიციარი ოჯახების $16,1\%$ ინტერვიუერის მიერ შეფასდა როგორც უკიდურესად ღატაკი.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების აღწერა


რაოდენობრივი კვლევის დროს გამოვლინდა გამოკითხული ოჯახების ინფორმირებულობის წყარო. სოციალური დახმარების შესახებ ინფორმაცია ოჯახებს სხვადასხვა წყაროდან აქვთ მიღებული. ბენეფიციარი ოჯახების 38%-მა ინფორმაციის ძირითად წყაროდ ადგილობრივი თვითმმართველობა დაასახელა, ხოლო არაბენეფიციარი ოჯახების 42,6%-მა ინფორმაცია სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ ტელევიზიის საშუალებით მიიღო.

დიაგრამა №1

დახმარების პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღების გზები
ბენეფიციარი




არაბენეფიციარი



არაბენეფიციარი ოჯახების აზრით, დახმარების არშიღების მიზეზი სიღარიბის ზღვას ქვემოთ მყოფი მოსახლეობის შეფასების არასწორი სისტემის არსებობა და სოციალური აგენტის მიერ ოჯახის არასამართლიანი შეფასებაა. არაბენეფიციარი ოჯახების აზრით, ოჯახის შეფასებისას ძირითადი ყურადღება მაცივრისა და ტელევიზორის ქონას ექცევა.

დიაგარამა №2

არაბენეფიციარი ოჯახების აზრით ოჯახის შეფასების ინდიკატორები




რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხული არაბენეფიციარი ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობაში შეიტანა განაცხადი სახელმწიფო სოციალური სუბსიდიების პროგრამაში. მონაწილეობის მისაღებად განაცხადი არ შეუტანია მხოლოდ 4 ოჯახს. არაბენეფიციარი ოჯახების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად იმ ოჯახებიდან, რომლებმაც

განაცხადი შეიტანეს, მხოლოდ 3 ოჯახში შეავსო არასრულად და 2 ოჯახში საერთოდ არ შეავსო სოციალურმა აგენტმა დეკლარაცია.

რაც შეეხება ბენეფიციარ ოჯახებს, მათ 85,8%-ს დაენიშნა სოციალური დახმარება, საიდანაც 78,9% იღებს დახმარებას. ბენეფიციარი ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც დახმარების მიმღები, ასევე არამიმღები ინტერვიუერის მიერ შეფასებულია როგორც უკიდურესად ღატაკი ან ღატაკი.

სქემა №1

**ბენეფიციარი ოჯახების მიერ დახმარების მიღება და ინტერვიუერის მიერ
მათი შეფასება**



ბენეფიციარი ოჯახების 75%-მა და არაბენეფიციარი ოჯახების 75,9%-მა იცის საკუთარი ოჯახის სარეიტინგო ქულა, რომლის მიხედვითაც გახდნენ ისინი დახმარების მიმღებნი ან არმიმღებნი.

ბენეფიციარი ოჯახების 10,8%-ს შეჩერებული აქცის დახმარება. მათი 60%-ის განცხადებით, ისინი ეცადნენ შეჩერების მიზეზის აღგოლობრივ ორგანოებში დაგდენას, მაგრამ კვლევის პერიოდისათვის მათ ვერ მიიღეს ინფორმაცია. შეჩერების მიზეზთა შორის 25% უკავია ოჯახის წევრთა რაოდენობის ცვლილებას.


გამოკითხული ოჯახების 44,4% დახმარებას იღებს ბინაზე, ხოლო 56,6% - ბანკში. ბინაზე დახმარების მიმღებთა აბსოლუტური უმრავლესობის განცხადებით, დახმარება მათთან ყოველთვის დროულად მიღის.

კვლევის ბაზაში თითქმის თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახები სულადობის მიხედვით. შედარებით დიდი რაოდენობით იყვნენ 4-6 სულიანი ოჯახები, ხოლო შემღებ მცირედი სხვაობით - 1-3 სულიანი ოჯახები. დაბალი იყო 7 და მეტ სულიანი ოჯახების რაოდენობა.

დიაგრამა №3

ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი სულადობის მიხედვით


■ ბენეფიციარი ■ არაბენეფიციარი



რაოდენობრივი კვლევის დროს როგორც არაბენეფიციარ, ასევე ბენეფიციარ ოჯახებზე განისაზღვრა ოჯახის წევრების სოციალური სტატუსები. შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახებში შრომისუნარიანი პირების წილი საკმაოდ მაღალია; შემდეგი მაჩვენებელი მოდის ბავშვებსა და პენსიონერებზე; დაბალია შეზღუდული უნარების მქონე პირების რაოდენობა.

დიაგრამა №4

გამოკითხული ოჯახების სოციალური სტატუსები




მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ ოჯახებში დიდია შრომისუნარიანი პირების მაჩვენებელი, მათი მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული.


დიაგრამა №5

შრომისუნარიანი პირების დასაქმების მაჩვენებელი

ბმნებიციარი




პრაბმნებიციარი




გამოკითხული ბენეფიციარი და არაბენეციარი ოჯახების შემოსავლების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად მსგავსია, თუმცა ვალის კომპონენტს მეტი წილი უჭირავს არაბენეფიციარი ოჯახების შემოსავლებში, მაგრამ ასევე გაცილებით მეტი პროცენტული მაჩვენებელი აქვს არაბენეფიციარი ოჯახების შემოსავლებში ოჯახის ჯამურ პენსიას.

დიაგრამა №6

შემოსავლის წყაროები ბენეფიციარ ოჯახებში



შემოსავლის წყაროები არაბენეფიციარ ოჯახებში




გამოკითხული ოჯახების შემოსავლების სტრუქტურაში გალის მაჩვენებელი საკმაოდ დიდია. ბენეფიციარი ოჯახების 68,6%-მა და არაბენეფიციარი ოჯახების 72,4%-მა აიღო გალი. როგორც ბენეფიციარება, ასევე არაბენეფიციარება არაბენებმა გალის აღების მიზეზად მაღაზიაში სასურსათო პროდუქტების ყიდვა დასახელებს. აღებული გალი დააბრუნეს მხოლოდ ბენეფიციართა 14,1%-მა და არაბენეფიციართა 12,1%-მა. გალის დაბრუნების წყაროებად ძირითადად ოჯახის შემოსავლების დაგროვება და ფულის სხვისგან სესხება სახელდება.

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ოჯახების ხარჯების სტრუქტურაც. გამოკითხული ოჯახებისთვის ხარჯების უმეტესი ნაწილი საკვებზე გაწეულ ხარჯებზე მოდის, ხოლო შემდეგ - მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება. სხვა ტიპის ხარჯებზე როგორც ბენეფიციარ, ასევე არაბენეფიციარ ოჯახებში დაბალი პროცენტული მაჩვენებელი მოდის.


დიაგრამა № 8

ბენეფიციარი ოჯახების ხარჯების სტრუქტურა




დიაგრამა №9

არაბენეფიციარი ოჯახების ხარჯების სტრუქტურა




გამოკითხული ოჯახების საშუალო ხარჯები მსგავსა ბენეფიციარ და არაბენეფიციარ ოჯახებში, თუმცა როგორც ოჯახის მთლიანი ხარჯი, ასევე ხარჯი ერთ სულზე გაანგარიშებით არაბენეფიციარ ოჯახებში მეტია. ბენეფიციარი ოჯახები თვეში ხარჯავენ საშუალოდ 139 ლარს, ხოლო არაბენეფიციარები – 188 ლარს.

დიაგრამა №10



დიაგრამა №11



გამოკითხული ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა ფულს ძირითადად საკვები პროდუქტებზე ხარჯავს. თუ არ ჩავთვლით ოჯახების მცირე რაოდენობის მიერ განათლებაზე გაწეულ ხარჯებს, საკვებზე გაწეული ხარჯები აღემატება სხვა პროდუქტებზე ხარჯებს. საკვების შემდეგ გამოკითხულ ოჯახების დიდ ნაწილს ხარჯი გაწეული აქვს მედიკამენტებზე, ხოლო შედარებით ნაკლები ოჯახი იხდის კომუნალურ გადასახადებს. ოჯახების მცირე რაოდენობა გასწევს ხარჯს ტანსაცელზე, სასწავლო ნივთებსა და სხვა საჭიროებებზე.

ცხრილი №6

ოჯახების ხარჯი კომბინენტების მიხედვით (თვე, ლარი)

დასახელება	სულ ოჯახები		ბენეფიციარი		არაბენეფიციარი	
	ოჯახების რაოდენობა	საშუალო ხარჯი	ოჯახების რაოდენობა	საშუალო ხარჯი	ოჯახების რაოდენობა	საშუალო ხარჯი
საკვები	1022	114,9	537	102,9	485	128,3
სამედიცინო მომსახურება	111	71,9	49	92,1	62	55,9
მედიკამენტები	869	42,0	452	37,1	417	47,4
ტანსაცელი	18	45,8	4	26,0	14	51,4
განათლება (სასწავლო ნივთების გარეშე)	24	174,6	8	177,5	16	173,1
სასწავლო ნივთები	58	21,8	28	17,1	30	26,2
ტრანსპორტი	154	14,9	59	14,0	95	15,5
სასაუბრო ბარათი	92	14,6	12	24,1	80	13,1
კომუნალური გადასახადები	612	17,2	284	15,4	328	18,9
გალის დაბრუნება	125	53,1	71	30,5	54	82,8
სიგარეტი	368	13,8	177	11,9	191	15,4
სხვა	9	75,1	5	176	4	40,7

გამოკითხული ოჯახების უმეტესობა ძირითადად ყიდულობს ისეთ საკვებს პროდუქტებს, როგორიცაა: ხორბლის ფეხილი, მაკარონი, ვერმიშელი, ზეთი, შაქარი და მარილი. ოჯახების გარკვეული ნაწილი შინამეურნეობის მეშვეობით მოიხმარს რძესა და რძის პროდუქტებს, კვერცხს, სიმინდის ფეხილს, ლობიოსა და ბარდას, ხილსა და ბოსტნეულს. საკმაოდ მცირეა იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც მოიხმარენ ხორცსა და თევზს, თუმცა არაბენეფიციარი ოჯახების მაჩვენებელი აღნიშნულ კომპონენტში მცირედით აღემატება ბენეფიციარი ოჯახების მაჩვენებელს.

ცხრილი №7

მოხმარებული პროდუქტების მიღების გზები


	პროდუქტის დასახელება	ბენეფიციარი			არაბენეფიციარი		
		გვერდი	მიღების მეურნეობა	აზიანია	გვერდი	მიღების მეურნეობა	აზიანია
1	პური	115	4	417	123	8	352
2	ხორბლის/სიმინდის ქვილი/ღერღილი	473	207	328	443	185	305
3	ლობიო/ბარდა/ბრინჯი/წიწიბურა	342	186	494	351	178	413
4	მაკარონი, ვერმიშელი	256	1	254	262	0	217
5	ხორცი	12	5	516	53	5	428
6	რძე/რძის პროდუქტები	27	248	221	46	227	187
7	კვერცხი	169	163	281	113	139	212
8	მარგარინი და ზეთი	543	1	483	549	5	410
9	ხილი და ბოსტნეული	310	352	363	361	292	292
10	შაქარი და მარილი	931	3	55	874	0	40
11	ყავა და ჩაი	742	4	282	742	3	172
12	სიგარეტი	198	6	333	232	2	251
13	საყოვაცხოვრებო ნივთები	1358	0	1256	1487	0	901
14	სხვა პროდუქტები	253	122	1483	298	136	1270

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახებში ძალზედ მცირეა სამომხმარებლო პროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი. ბენეფიციარების შემთხვევაში შედარებით მაღალი მაჩვენებელი მოდის სასკოლო წიგნებსა და ნივთებზე. სტრუქტურა მეტ-ნაკლებად მსგავსია არაბენეფიციარ ოჯახებში, თუმცა ამ შემთხვევაში გაცილებით მეტია სატელეფონო სასაუბრო ბარათების მოხმარების მაჩვენებელი.

დიაგრამა №12


გამოკითხული ოჯახების მიერ მიღებული სამომხმარებლო პროდუქტები

პერიოდიალი



არაპერიოდიალი

■ შევიძინებ ან/და მივიღე დახმარების სახით
■ არ შემიძენია, არ მიმიღია




გამოკითხულ ოჯახებში როგორც ხარჯების კუთხით, ასევე საჭიროებების თვალსაზრისითაც, საკვების შემდეგ პრიორიტეტად გამოვლინდა მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება.

რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხული ოჯახების 84,7% გასწევს ხარჯებს მედიკამენტებზე. ხარჯი შეადგენს საშუალოდ 42 ლარს თვეში. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის უმეტესობა მედიკამენტებს საშუალოდ თვეში 1-2-ჯერ შეიძენს.

დიაგრამა №13

გამოკითხული ოჯახების მიერ მედიკამენტების მოხმარების სიხშირე



რასც შეეხება სამედიცინო მომსახურებას, ოჯახების 10,8% გასწევს ამ კომპონენტზე ხარჯს. ხარჯი შეადგენს საშუალოდ 71,8 ლარს თვეში.

გამოკითხული ოჯახების 59,1%-ს (ბენეფიციართა 72,7%-სა და არაბენეფიციართა 44,1%-ს) აღებული აქვს ჯანდაცვის პოლისი. აღნიშნული პოლისი ოჯახებმა საშუალოდ ორჯერ გამოიყენეს. საერთო ჯამში, ჯანდაცვის პოლისი გამოიყენა გამოკითხული ოჯახების 14,3 %-მა.


გამოკითხული ოჯახები სოციალური დახმარების პროგრამას სხვადასხვაგვარად აფასებენ. ბენეფიციარი ოჯახების 34,4% პროგრამას დადებითად აფასებს, თუმცა არაბენეფიციარი ოჯახების 71%-ის აზრით, პროგრამა არასამართლიანად მიმდინარეობს.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ინტერვიუები საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას უკიდურესად ცუდად აფასებენ. მათ შემოსავალი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ საკებჭე ჰყოფნით. ბენეფიციარი ოჯახების 96% და არაბენეფიციარი ოჯახების 90% მიიჩნევს, რომ შემოსავალი საერთოდ არ ჰყოფნით. ინტერვიუერის მიერ ოჯახების სოციალური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ოჯახების უმეტესობა ღარაკია (იხ. დიაგრამა 14).


რაოდენობრივი კვლევის დროს ინტერვიუერების მიერ შეფასდა გამოკითხული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობები. ამ შერივ ბენეფიციარ და არაბენეფიციარ ოჯახებს შორის უფრო დიდი სხვაობაა, ვიდრე სხვა კომპონენტებში. საყოფაცხოვრებო პირობები არაბენეფიციარ ოჯახებში გაცილებით უკეთესია (იხ. დიაგრამა 15).

ინტერვიუერის შეფასება – სოციალური მდგომარეობა

პენეზიტიარი




არაპენეზიტიარი




ინტერვიუერის შეფასება – საყოფაცხოვრებო პირობები

ბენეფიციალი



არაბენეფიციალი



როგორც უკვე აღინიშნა, რაოდენობრივი კვლევის დროს ოჯახები აფასებდნენ საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას და ასევე ინტერვიუერის მიერ ფასდებოდა ოჯახების სოციალური სტატუსი. შედეგად გამოვლინდა, რომ იმ ოჯახების უმეტესობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ შემოსავალი არ ჰყოფნით, ან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ საკვების შეძენა შეუძლიათ, ინტერვიუერის მიერ შეფასდა როგორც უკიდურესად დატაკი ან დატაკი.

ცხრილი №8

ოჯახების თვითშეფასება და ინტერვიუერის შეფასება

ბენეფიციალი

სოციალური შეფასება		შემოსავალი ან გეპოზნის	შემოსავალი გეპოზნის მხოლოდ კვებაზე	სულ
უკიდურესად დატაკი	რაოდენობა	81	1	82
	%	17,8	1,6	15,8
დატაკი	რაოდენობა	275	26	301
	%	60,4	41,3	58,1
დარიბი	რაოდენობა	85	35	120
	%	18,7	55,6	23,2
საშუალო შეძლების	რაოდენობა	14	1	15
	%	3,1	1,6	2,9
სულ	რაოდენობა	455	63	518
	%	100	100	100


ოჯახების თვითშეფასება და ინტერგიუერის შეფასება

პრაბმეზიციარი

სოციალური შეფასება		შემოსავალი ან გეყოფნის	შემოსავალი გეყოფნის მხოლოდ კვებაზე	სულ
უკიდურესად ღატაკი	რაოდენობა	25	2	27
	%	7,0	2,8	6,3
ღატაკი	რაოდენობა	142	8	150
	%	39,8	11,1	35,0
ღარიბი	რაოდენობა	148	42	190
	%	41,5	58,3	44,3
საშუალო შეძლების	რაოდენობა	37	17	54
	%	10,4	23,6	12,6
საშუალოზე მაღლი შეძლების	რაოდენობა	5	3	8
	%	1,4	4,2	1,9
სულ	რაოდენობა	357	72	429
	%	100	100	100

პროგრამის მიზანმიმართულების შეფასებისათვის ინტერგიუერის სოციალური მდგომარეობის შეფასების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვანათ, რომ სოციალური პროგრამა უკრ ფარავს ღატაკი ოჯახების 16.1%-ს - არაბენეფიციალები, რომლებმაც მიიღეს შეფასება უკიდურესად ღატაკი/ღატაკი (დიაგრამა № 16). არაფენეფიციალი შინამეურნეობების 44% შეფასდა როგორც ღარიბი, დანარჩენი კი - საშუალო შეძლების(17.4%) და საშუალოზე მაღლი შეძლების (4.5%).

შესწავლილი შინამეურენეობების სოციალური მდგომარეობის შეფასება
(გაერთიანებული ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ოჯახები)



ღატაკი ოჯახების კვლევის ძირითადი მიზნები

რაოდენობრივი კვლევის პირველი ფაზის მიმდინარეობის პარალელურად გამოკითხულ ოჯახებთან ჩატარდა ღატაკი ოჯახების იდენტიფიკაციის კვლევა. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახები ასახელებდნენ მათ თემში მცხოვრებ ყველაზე ღატაკ ოჯახებს.

შედეგად დასახელდა 697 ღატაკი ოჯახი, საიდანაც შეიძინა 300 ყველაზე ხშირად დასახელებული ოჯახი. აღნიშნული ოჯახების კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეორე ფაზის პარალელურად.

- ღატაკი ოჯახების იდენტიფიკაციის კვლევის საფუძველზე ყველაზე მეტი ღატაკი ოჯახი შეიძინა ხელვაჩაურისა და ხულოს ჰაიონებში.
- გამოკითხული ოჯახების (ერთ წევრს მაინც) 6,2%-ს არ აქვს დაბადების მოწმობა, ხოლო 5,5 %-ს არ აქვს პირადობის მოწმობა.
- ღატაკი ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროს ვალი წარმოადგენს. გამოკითხულთა 76,7%-ს აღებული აქვს ვალი. ოჯახების შემოსავლების სტრუქტურაში სწორედ ვალის აღება შეადგენს 70%-ს.

- ვალი დააბრუნა ოჯახების შხოლოდ 12,3%-მა. მათმა 66,7%-მა საჭირო თანხა დააგროვა ოჯახის შემოსაფლებიდან, ხოლო 33,3%-მა თანხა ისესხა სხვისგან. ოჯახების უმეტესობას ვალი მაღაზიაში საკვები პროდუქტების ყიდვის მიზნით ჰქონდათ აღებული.
- ღატაკი ოჯახები ხარჯებს ძირითადად საკვებზე გასწევენ. ხარჯების სტრუქტურაში ამ კომბინენტზე 65% მოდის.
- გამოკითხული ოჯახების მიერ ყოველთვიურად გაწეული ხარჯი საშუალოდ 161 ლარს შეადგენს.
- ღატაკი ოჯახები საკვები პროდუქტებიდან ძირითადად მოიხმარენ ხორბლის ფქვილს, მარგარინს, ზეთს, შაქარს, მარილს, ლობიოსა და ბრინჯს.
- სოციალურ დახმარებას გამოკითხული ოჯახები პირველ რიგში საკვებზე, შემდგომ კი მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ხარჯავენ/დახარჯავდნენ. ამსოდუტურად იგივე პრიორიტეტი გამოვლინდა იმ შემთხვევაშიც, რომ ჰქონდეს გაორმაგებული შემოსავალი.

- ლატაკი ოჯახების 42,7%-ს აღებული აქვს ჯანდაცვის პოლისი. აქედან 37,5% იყენებს აღნიშნულ პოლისს. ოჯახების უმეტესობა თვეში საშუალოდ 1-2-ჯერ ყიდულობს მედიკამენტებს.
- ლატაკი ოჯახების 58,2% სოციალური დახმარების პროგრამას აფასებს, უარყოფითად.
- ოჯახების 89,7%-ს შემოსავალი საერთოდ არ ჰყოფნის, თუნდაც საკვები პროდუქტების ყიდვაზე.
- ინტერვიუერის შეფასებით, გამოკითხული ლატაკი ოჯახების უმეტესობის საყოვაცხოვრებო და სოციალური პირობები ძალზედ ებიძეა.


ღატაკი ოჯახების კვლევის შედეგების აღწერა

ღატაკი ოჯახების კვლევის დროს გამოვლინდა გამოკითხული ოჯახების ინფორმირებულობის წყარო. სოციალური დახმარების შესახებ ინფორმაცია ოჯახებს სხვადასხვა წყაროდან აქვთ მიღებული.

გამოკითხულთა ნახევარშია ინფორმაცია სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ ტელევიზიით მიიღო. ინფორმაციის მიღების წყაროებად ასევე დასახელდა ადგილობრივი ორგანიზაციი, ნათესავი, მეზობელი ან მეგობარი.

დიაგრამა №17

პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღების გზები




ღატაკ ოჯახებს შორის იყვენენ ოჯახები, რომელთაც განაცხადი საერთოდ არ ქონდათ შეგანილი დაბადების ან/და პირადობის მოწმობის არქონის გამო. გამოკითხულთა ოჯახებიდან 6,2% ოჯახის ერთ წევრს მაინც არ გააჩნია დაბადების მოწმობა, ხოლო პირადობის მოწმობის არქონის მაჩვენებელი 5,5%-ია. პირადობისა და დაბადების მოწმობების არქონას ოჯახები სხვადასხვა მიზეზით ხსნან. დაბადების მოწმობის შემთხვევაში მიზეზი ძირითადად სასამართლო პროცედურების სირთულე

და ხანგრძლივობაა, ხოლო პირადობის მოწმობის არშექონე პირების უმეტესობას არც უცდია მოწმობის აღება.


დიაგრამა №18

დაბადების მოწმობის არქონის მიზეზები



დიაგრამა №19


პირადობის მოწმობის არქონის
მიზეზები



შესწავლით 300 ღატაკი ოჯახიდან 51,4%-მა შეიტანა განაცხადი სოციალური დახმარების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, აქედან 29,3%-ს დაენიშნა დახმარება, ხოლო საბოლოოდ აღნიშნული მაჩვენებლიდან 86,4% იღებს სოციალურ ფულად დახმარებას. ინტერვიუერის მიერ ღატაკი ოჯახების უმეტესობა მართლაც უკიდურესად დატაკად ან დატაკად არის შეფასებული.

სქემა №2

ღატაკი ოჯახების მიერ დახმარების მიღება და ინტერვიუერის მიერ მათი შეფასება



ღატაკი ოჯახების 77,3%-მა იცის საკუთარი სარეიტინგო ქულა, რომლის მიხედვითაც გახდა ესა თუ ის ოჯახი სოციალური დახმარების მიმღები ან არმიმღები.


ღატაკი ოჯახებიდან ბენეფიციარი ოჯახების 9,2%-ს შეჩერებული აქვს დახმარება. შეჩერების მიზეზად გამოკითხულთა 50% ასახელებს ოჯახში წევრთა რაოდენობის ცვლილებას, ხოლო 50%-მა უცადა მიზეზი გაეგო ადგილობრივი ორგანოს მეშვეობით, მაგრამ ვერ შეძლო ინფორმაციის მოპოვება.

ბენეფიციარი ოჯახების 72,5% ფულად დახმარებას ბინაზე მიტანით იღებს, ხოლო 27,5% საბანკო მომსახურებით სარგებლობს.

გამოკითხული ღატაკი ოჯახები ძირითადად იყვნენ 1-3 სულიანი, ყველზე ნაკლები რაოდენობით გამოკითხულ იქნა 7 და შეტ სულიანი ოჯახები.

დიაგრამა №20

ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი სულადობის მიხედვით




ღატაკი ოჯახების კვლევის დროს განისაზღვრა ოჯახების წევრების სოციალური სტატუსები. შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახებში

შრომისუნარიანი პირების წილი საკმაოდ მაღალია, შემდეგი მაჩვენებელი კი ბაგშებსა და პენსიონერებზე მოდის. რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხულ ოჯახებთან შედარებით ღატაკ ოჯახებში უფრო მეტი შეზღუდული უნარის მქონე პირებია წარმოდგენილი.

დიაგრამა №21


ღატაკი ოჯახების წევგრების სოციალური სტატუსები



გამოკითხულ 300 ღატაკ ოჯახში 512 შრომისუნარიანი პირია, რომელთაგან მხოლოდ 5,5%-ია დასაქმებული.

შემოსავლების სტრუქტურა ღატაკ ოჯახებში დაახლოებით მსგავსია რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახებისა, თუმცა ვაღის კომპონენტზე ღატაკი ოჯახების შემოსავლებში გაცილებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მოდის. ღატაკი ოჯახების შემოსავლების 70% ვაღის აღებით მიღებული თანხაა.

ღატაკი ოჯახების შემოსავლების სტრუქტურა




გამოკითხული ღატაკი ოჯახების 76,7%-მა აიღო ვალი. ოჯახებმა ვალის აღების ძირითად მიზეზად მაღაზიაში სასურსათო პროდუქტების ყიდვა დაასახელეს. ღატაკი ოჯახების უმეტესობამ არ იცის, თუ რა პერიოდში დააბრუნებენ ისინი ვალს. აღებული ვალი დააბრუნა ოჯახების მხოლოდ 12,3%-მა. ვალის დაბრუნების წყაროებად ძირითადად ოჯახის შემოსავლების დაგრივება და ფულის სხვისგან სესხება სახელდება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ღატაკი ოჯახების ხარჯების სტრუქტურაც. გამოკითხული ოჯახებისთვის ხარჯების უმეტესი ნაწილი საკვებზე იხარჯება, ხოლო შემდეგ პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით მედიკამენტები და კომუნალური გადასახადები მოდის. მედიკამენტებზე ხარჯი გასწია გამოკითხული ოჯახების 82,9%-მა საშუალოდ 32 ლარი, ხოლო კომუნალურ გადასახადებზე – 41,1%-მა საშუალოდ 28 ლარი.

დიაგრამა №23


ლატაკი ოჯახების ხარჯების სტრუქტურა




ოჯახების მიერ გაწეული ხარჯები განსხვავდება ოჯახის წევრების რაოდენობების მიხედვით. ზოგადად, ლატაკი მოსახლეობის ხარჯების მიხედვით ოჯახი თვეში ხარჯავს საშუალოდ 160,9 ლარს.

დიაგრამა №24

ოჯახის საშუალო ხარჯი (თვე, ლარი)



ხარჯი ერთ სულზე გაანგარიშებით (თვე, ღარი)



გამოკითხული ოჯახები უკიდურესად დატაკ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ იმის საშუალება აქვთ, რომ საკვები პროდუქტები მიიღონ.

გამოკითხული დატაკი ოჯახების უმეტესობა ძირითადად ფულსაც მხოლოდ საკვები პროდუქტებზე ხარჯავს. ყველაზე ხშირად ისინი ხორბლის ფქვილს, მარგარინს, ზეთს, შაქარსა და მარილს ყიდულობენ.

ოჯახების გარკვეული ნაწილი შინამეურნეობის მეშვეობით მოიხმარს რძესა და რძის პროდუქტებს, სიმინდის ფქვილს, ლობიოსა და ბარდას, ხილსა და ბოსტნეულს.

საკმაოდ მცირება იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც მოიხმარენ ხორცსა და თევზს.


მოხმარებული პროდუქტების მიღების გზები

№	პროდუქტის დასახელება	ელ	მიღების მიზანი	არ გიშენა
1	პური	40	2	250
2	ხორბლის/სიმინდის ფეხილი, ღერლილი	264	148	150
3	კონბიო/ბარდა, ბრინჯი, წიწიბურა	188	136	246
4	მაკარონი, ვერმიშელი	140	0	150
5	ხორცი	6	18	266
6	თევზი	24	4	264
7	რძე და რძის პროდუქტები	8	112	130
8	კვერცხი	40	44	192
9	მარგარინი და ზეთი	312	12	250
10	ხილი და ბოსტნეული	128	164	228
11	ყავა და ჩაი	356	4	196
12	შაქარი და მარილი	470	0	34
13	საყოფაცხოვრებო ნივთები	674	4	968
14	სხვა პროდუქტები	200	70	502

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახებში ძალზედ მცირეა სამომხმარებლო პროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი. ყველაზე მეტად ღარები მოხმარების მიღების მიზანი სასკოლო ნივთებსა და წიგნებს, ასევე სატელეფონო სასაუბრო ბარათებს.


ლატაკი ოჯახების მიერ მიღებული სამომხმარებლო პროდუქტები

- არ შემიძენია, არ მიმიღია
- შევიძინე ან/და მივიღე დახმარების სახით



გამოკითხული ოჯახების 82,9% გასწევს ხარჯებს მედიკამენტებზე. ხარჯი შეადგენს საშუალოდ 32 ლარს თვეში. ლატაკი მოსახლეობის უმეტესობა მედიკამენტებს საშუალოდ თვეში 1-2-ჯერ შეიძენს.

მედიკამენტების მოხმარების სიხშირე



რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებას, ოჯახების 17,8% გასწევს ამ კომპონენტზე ხარჯს. ხარჯი შეადგენს საშუალოდ 36 ლარს თვეში.

გამოკითხული ოჯახების 56%-ს აღებული აქცეს ჯანდაციის პოლისი. აქედან 62,5%-მა გამოიყენა პოლისი. პოლისის გამოყენების სიხშირე საშუალოდ ერთის ტოლია.

გამოკითხული ოჯახები სოციალური დახმარების პროგრამას სხვადასხვაგვარად აფასებენ. 58,2% მიიჩნევს, რომ პროგრამა არასამართლიანად მიმდინარეობს, თუმცა 14,4% პროგრამას დადებითად აფასებს. გამოკითხული ოჯახების 27,4% ნეიტრალურადაა განწყობილი.


კვლევაში მონაწილე ოჯახები საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას უკიდურესად ცუდად აფასებენ. მათ შემოსავალი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ საკვებზე ჰყოფნით. ოჯახების 89,7%-ს საერთოდ არ ჰყოფნის შემოსავალი და მხოლოდ 2,7%-ს შეუძლია საკვების გარდა ტანსაცმელიც შეიძინოს.

დატაკი ოჯახების კვლევის დროს ინტერვიუერების მიერ შეფასდა გამოკითხული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობები და სოციალური მდგომარეობა.

გამოკითხული ოჯახების უმეტესობა ღატაკად არის შეფასებული. ეს ოჯახები ძლიერ იქმაყოფილებენ შიშილოს. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, ძირითადად ინტერვიუერის მიერ შეფასებულია როგორც ცუდ მდგომარეობაში მყოფი.


დიაგრამა №28

ინტერვიუერის შეფასება – ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები



დიაგრამა №29

ინტერვიუერის შეფასება – ოჯახის სოციალური მდგომარეობა



როგორც უკვე აღინიშნა, დატაკი ოჯახების კვლევის დროს ოჯახები აფასებდნენ საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას და ასევე ინტერვიუერის მიერ ფასდებოდა ოჯახების სოციალური სტატუსი. შედეგად გამოვლინდა, რომ იმ ოჯახების უმეტესობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ შემოსავალი არ ჰყოფნით, ან მხოლოდ საკვების შეძენა შეუძლიათ, ინტერვიუერის მიერ შეფასდა როგორც უკიდურესად დატაკი ან დატაკი.

ცხრილი №11

ოჯახების თვითშეფასება და ინტერვიუერის შეფასება

სოციალური შეფასება		შემოსავალი ან გვყოფნის	შემოსავალი გვყოფნის მხოლოდ კვებაზე	სულ
უკიდურესად დატაკი	რაოდენობა	56	2	58
	%	21,4	9,1	20,4
დატაკი	რაოდენობა	140	10	150
	%	53,4	45,5	52,8
დარიბი	რაოდენობა	66	10	76
	%	25,2	45,5	26,8
სულ	რაოდენობა	262	22	284
	%	100	100	100

აჭარის რეგიონში პროექტის მიმდინარეობისას გამოვლენილი საინტერესო შემთხვევები

აჭარის ა.რ. რეგიონში კვლევის ჩატარების დროს გამოვლინდა სხვადასხვა ოჯახთან დაკავშირებული საინტერესო შემთხვევები. იყო სიტუაციები, როდესაც გამოვლინდა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ბაზაში უზუსტობები, მაგალითად რამდენიმე ოჯახის მისამართი არასწორად იყო მითითებული. ამის მიზეზი, რიგ შემთხვევებში იყო ის გარემოება, რომ ოჯახებმა შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და ამის შესახებ არ აცონობეს სააგენტოს. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ერთსულიანი ოჯახები კვლევის მიმდინარეობის პერიდისათვის გარდაცვლილნი იყვნენ.

კვლევის დროს გამოვლინდნენ ისეთი ოჯახები, რომლთაც შეჩერებული აქვთ სოციალური დახმარების მიღება და არ ფლობენ ინფორმაციას შეჩერების მიზეზების შესახებ. გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთი შინამეურნეობებიც, რომლებსაც დანიშნული ჰქონდათ დახმარება სარეიტინგო ქულის შესაბამისად, მაგრამ მათ დახმარება არ ჰქონდათ მიღებული კვლევის პერიდისთვის.

გამოვლენილი საინტერესო შემთხვევები განხილულ იქნა დეტალურად სახელმწიფო სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენლებთან. აღნიშნული ოჯახები დამატებით გადამოწმდნენ სააგენტოს ბაზაში. შედაგად ყველა გამოვლენილი დარღვევა და უზუსტობა გადაეცა სახელმწიფო სუბსიდიების სააგენტოს შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

ანგარიში მოცემულია აჭარის (ა.რ.) რეგიონში გამოვლენილი ზოგიერთი საინტერესო შემთხვევა. კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით ანგარიში არ არის მითითებული ოჯახების მონაცემები.

ერთწევრიან ბენეფიციარ ოჯახს წარმოადგენს მარტოხელა ქალბატონი, რომელსაც გაქირავებული აქვს საცხოვრებელი ბინის ერთი ოთახი, სადაც განთავსებულია მაღაზია. შესაბამისად, ოჯახი იღებს შემოსავალს ქირის სახით. თუმცა შემოსავლის ამ წყაროს იგი მაღავს და იმავდროულად იღებს ფულად სოციალურ შემწეობას. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახის სოციალური მდგომარეობა ნორმალურია.

არაბენეფიციარი ექვსწევრიანი ოჯახში ცხოვრობს 4 შრომისუნარიანი, 1 პენსიონერი და 1 არასრულწლოვანი ბავშვი. მცირეწლოვანი არის ავადმყოფი და ესაჭიროება სისტემატური მკურნალობა, რაზეც ოჯახს ხელი არ მიუწვდება.

აღნიშნული ოჯახი არ ფლობს ინფორმაციას მიღებული სარეიგინგო ქულის შესახებ, შესაბამისად არ აქვს მოწმობა. ოჯახის განმარტებით, ადგილობრივმა სააგენტომ სიტყვიერად აცნობა, რომ მათ მაღალი სარეიგინგო ქულა მიიღეს.

ოჯახს არ აქვს არც სოციალური დახმარება და არც სამედიცინო პოლისი. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად ღატაკი და მას აუცილებლად სჭირდება სამედიცინო დაზღვევა.

ხუთწევრიანმა ოჯახმა განაცხადი შეიტანა 2006 წლის 3 მარტს და მას
მიენიჭა სარეკორდო ქულა - 45630.

ოჯახში ცხოვრობს 2 შრომისუნარიანი (უმუშევარი) და სამი
არასრულწლოვანი ბავშვი. ოჯახის ერთ-ერთი არასრულწლოვანი ბავშვი
არის ავადმყოფი, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება მეურნალობა.
როგორც ინტერვიუერმა გაარკვია, ოჯახს სამედიცინო პოლისი მიღებული
ქნდა, მაგრამ ადგილობრივ საავადმყოფოში უარი განუცხადეს
მომსახურებაზე.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული ოჯახი არის
ბენეფიციარი, მაგრამ როგორც გაირკვა, მოხდა ოჯახის მეორედ
შემოწმება, ხოლო შემოწმების შედეგი კი არ იყო ცნობილი კვლევის
მიმდინარეობის დროს. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის
უკიდურესად დატაკი.

ხუთწევრიანი ოჯახი, სადაც ცხოვრობს 2 პენსიონერი და 3
შრომისუნარიანი (უმუშევარი). სააგენტოს მიერ მოწოდებული ბაზის
მონაცემებით, ოჯახი უნდა იყოს ფულადი სოციალური დახმარების
მიმღები, თუმცა, კვლევის მიმდინარეობის დროს აღმოჩნდა, რომ ოჯახი არ
ღებულობდა ფულად დახმარებას.

გამოკითხვის შედეგად ინტერვიუერმა დაადგინა, რომ ოჯახს
შეჩერებული ჰქონდა დახმარების მიღება, ხოლო ამის მიზნები მათ ვერ
დაასახელეს. ოჯახში არანაირი ცვლილება არ მომხდარა, მათ შორის
დემოგრაფიული. ოჯახს ადგილობრივ სააგენტოში აცნობეს, რომ

„თბილისმა შეუჩერა ფულადი დახმარების მიღება“. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად ღატაკი.

ოჯახის სარეიტინგო ქულაა 53060 და შესაბამისად, სააგენტოს მიერ მოწოდებული ბაზის მონაცემებით, ოჯახი არის ბენეფიციარი.

კვლევის მიმდინარეობის დროს ინტერვიუერმა აღმოაჩინა, რომ ოჯახს არასდროს მიუღია ფულადი სოციალური დახმარება. როდესაც ოჯახმა მიმართა ადგილობრივ სააგენტოს დახმარების არმიღების მიზეზის დასადგენად, მას უთხრეს, რომ ოჯახს მიღებული პქნინდა მაღალი სარეიტინგო ქულა - 60140. თუმცა, მათ ასევე არ ქონდათ აღნიშნული ქულის დამადასტურებელი მოწოდება. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად ღატაკი.

ოჯახი ბენეფიციარია, მისი სარეიტინგო ქულაა 53330. ოჯახმა სოციალური დახმარების პროგრამაში განაცხადი შეიტანა 2006 წლის 11 დეკემბერს, რის შედეგადაც სამი თვის განმავლობაში ღებულობდა ფულად სოციალურ დახმარებას. სამი თვის შემდეგ ოჯახს შეუწყდა სოციალური დახმარების მიღება, თუმცა მიზეზი უცნობია.

ოჯახმა მიმართა ადგილობრივ სააგენტოს ინფორმაციის მისაღებად. მათ აცნობეს, რომ ოჯახს მიღებული აქვს მაღალი სარეიტინგო ქულა - 73210 იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული ოჯახი ხელმეორედ არ არის შემოწმებული. შესაბამისად, უცნობია თუ რის საფუძველზე მოხდა სარეიტინგო ქულის მომატება. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად ღატაკი.

ოჯახი ბენეფიციარია, პირველი შემოწმების შედეგად მიიღო 51660 (სარეიტინგო ქულა). დაახლოებით სამი თვის შემდეგ მოხდა ოჯახის ხელმეორედ შემოწმება, რის შედეგადაც ოჯახის სარეიტინგო ქულა კიდევ უფრო შემცირდა და 46810 გახდა.

შესაბამისად, ოჯახი ღებულობდა ფულად სოციალურ დახმარებას 2007 წლის მარტის შედეგ აღნიშნულ ოჯახსაც შეუწყდა ფულადი დახმარების მიღება. ოჯახმა მიმართა სააგენტოს, შედეგად მოხდა ოჯახის უპგე მესამედ შემოწმება. მესამედ შემოწმების შედეგად შინამეურნეობაში მიიღო ახალი სარეიტინგო ქულა - 48210. თუმცა ოჯახი მაინც არ იღებდა ფულად სოციალური დახმარებას.

ოჯახის განმარტებით, ადგილობრივ სააგენტომ მათ აცნობა, რომ შეწყვეტის მიზეზი სააგენტოსთვისაც არ იყო ცნობილი, რადგან „თბილისმა შეუწყვიტა“ დახმარება.

აღნიშნული ოჯახის ადგილობრივმა სააგენტოში ვიზიტის შემდეგ მოხდა ოჯახის მეოთხედ შემოწმება, რის შედეგადაც 2008 წლის 21 იანვარს შინამეურნეობის სარეიტინგო ქულა გახდა 84940. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად დატაკი.

ოჯახი ბენეფიციარია, მისი სარეიტინგო ქულაა 47860. ოჯახს დაენიშნა ფულადი სოციალური დახმარება 2006 წელს. დანიშნიდას რამდენიმე თვის შემდეგ ოჯახს შეუწყდა ფულადი სოციალური დახმარების მიღება. იმის მიუხედავად, რომ ოჯახში არ მომხდარა არანაირი ცვლილება (არც დემოგრაფიული, არც შემოსაფალების კუთხით, ოჯახის არც ერთი წევრი არ არის დასაქმებული და ა.შ.).

შეწყვეტილან 2 თვეში ოჯახს ისევ დაენიშნა სოციალური დახმარება, მაგრამ შეჩერებული ორი თვის თანხა არ აუზაზღაურდა. თუმცა, სამწუხაოლოდ, ამის მიზეზების დადგენა ვერ მოხდა. ინტერვიუერის შეფასებით ოჯახი არის უკიდურესად ღატაკი.

ოთხწევრიანშია ოჯახმა სოციალური დახმარების პროგრამაში განაცხადი შეიტანა 2005 წელს, შესაბამისად მოხდა ოჯახის შეფასება. რამოდენიმე თვის შემდეგ ოჯახი დაინტერესდა შედეგით და ადგილობრივ სააგენტოში მოითხოვა ინფორმაცია სარეიტინგო ქულის შესახებ. ოჯახს ასევე აინტერესებდა რა ქულის მიღების შემთხვევაში დაენიშნებოდა ფულადი სოციალური დახმარება.

ოჯახს ადგილობრივ სააგენტოში აცნობეს, რომ მათ მიიღეს ისეთი სარეიტინგო ქულა, რომ დაენიშნებოდა ფულადი დახმარება, რომლის აღებასაც დაახლოებით ერთ თვეში შეძლებდა.

თუმცა, ოჯახმა ვერ მიიღო მოწმობა და, შესაბამისად, არ ფლობდა ინფორმაციას სარეიტინგო ქულის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახმა ხელმეორედ მიმართა ადგილობრივ სააგენტოს. სააგენტოში განუმარტეს, რომ დაეკარგათ აღნიშნული ოჯახის მონაცემები და შესთავაზეს მეორედ შეუტანა განაცხადი. ხელმეორედ განაცხადის შეტანის შემდეგ ოჯახის მდგომარეობა განმეორებით შეფასდა და შედეგად მიიღო მაღალი სარეიტინგო ქულა 79160. შესაბამისად, ოჯახი აღარ არის პროგრამის ბენეფიციარი. თუმცა ინტერვიუერის შეფასებით, შინამეურნეობა არის უკიდურესად ღატაკი.

შინამეურნეობას წარმოადგენს 72 წლის მარტოხელა პენსიონერი ქალი. ოჯახს განაცხადი შეტანილი აქვს 2005 წელს. როგორც ქალბატონშა აცნობა ინტერვიუერს, მას შემდეგ, რაც განაცხადი შეიტანა, აგენტი მასთან არ მისულა ოჯახის შესაფასებლად და, შესაბამისად, არ აქვს სარეიტინგო ქულის დამატასტურებელი მოწმობა.

შემდეგ ქალბატონშა მიმართა ადგილობრივ სააგენტოს, სადაც ურჩიეს განაცხადის მეორედ შეტანა. თუმცა, განმეორებით განაცხადის შეტანის შემდეგაც მასთან მაინც არ მისულა აგენტი.

ქალბატონი არის მარტოხელა და ინტერვიუერის შეფასებით - უკიდურესად დატაკი.

ოჯახის სარეიტინგო ქულაა 45950. ოჯახმა სოციალური დახმარების პროგრამაში განაცხადი შეიტანა 2006 წლის 12 ივნისს. კვლევის მიმდინარეობის დროს აღმოჩნდა, რომ ამ ოჯახს არასდროს მიუღია ფულადი სოციალური დახმარება. ინტერვიუერმა გაარკვია, რომ ოჯახმა მიმართა ადგილობრივ სააგენტოს განმარტებებისათვის, სადაც აცნობეს, რომ სარეიტინგო ქულის შესაბამისად შინამეურნეობა არის ბენეფიციარი და ის აუცილებლად მიიღებდა დახმარებას.

თუმცა, ოჯახმა დახმარება ისევ ვერ მიიღო და სამი თვის შემდეგ განმეორებით მიმართა ადგილობრივ სააგენტოს, სადაც განუმარტეს, რომ სოფლის დასახულება არასწორად იყო მითითებული და სწორედ ეს იყო დახმარების არმიღების მიზეზი. ოჯახის განმარტებით, ეს უზუსტობა ჩასწორდა.

მას შემდეგ 1 წელი გავიდა, მაგრამ ოჯახს მაინც არ მიუღია დახმარება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად დატაკი.

ოჯახის სარეიტინგო ქულაა 77720. ოჯახმა პროგრამაში განაცხადი შეიტანა 2006 წელს. მაღალი სარეიტინგო ქულის მიღების გამო, ოჯახმა მიმართა ადგილობრივ სააგენტოს, რის შედეგადაც, რაიონის სააგენტოს წარმომადგენელი ეწვია ოჯახს. მან შეამოწმა ოჯახის მდგომარეობა და თან წაიღო ოჯახის სარეიტინგო ქულის დამატასტურებელი მოწმობა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ 1 წელი გავიდა და ოჯახს არანაირი ბასუხი არ მიუღია, ასევე რაიონულ სააგენტოს არ დაუბრუნებია მოწმობა. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი არის უკიდურესად დატაკი.

კვლევის მიმდინარეობის დროს აღნიშნულმა ოჯახმა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას წერილობით მიმართა, რათა გაეწია დახმარება და შუამდგომლობა ოჯახის ხელახალი გადამოწმებისა და შეფასებისათვის. აღნიშნული წერილი გადაეცა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს შემდგომი რეგისტრისათვის.

ოჯახი ერთსულიანია. მარტოხელა 80 წლის პენსიონერმა სოციალური დახმარების პროგრამაში განაცხადი 2005 წლის 24 ოქტომბერს შეიტანა. მან მოწმობა მიიღო 2006 წლის პირველ მაისს. ოჯახის სარეიტინგო ქულაა 38990.

ოჯახს დაენიშნა ფულადი სოციალური დახმარება, რომელსაც სამი თვის განმავლობაში ღებულობდა. სამი თვის შემდეგ კი ოჯახს შეუწყდა დახმარების მიღება, თუმცა შეწყვეტის მიზეზი ოჯახისთვის უცნობია.

ინტერვიუერის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ მარტოხელა 80 წლის პირვენებას თვითონ არ შეუძლია გადაადგილება და არც არავინ ჰყავს, ვინც მიაწვდის ინფორმაციას ადგილობრივ სააგენტოს. ინტერვიუერის შეფასებით, ოჯახი უკიდურესად ღატაკია. ინფორმაცია პირის შესახებ გადაეცა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმოაშადგენლებს შემდგომი რეაგირებისათვის.

შენიშვნები



საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ანგარიშზე მუშაობდნენ
ანა ქათამიძე
მარიამ ნანიჭაშვილი
მადონა კოტია
დავით მერაბიშვილი
ნიკა თოხაძე
მამუკა ნადარეიშვილი

დიზაინი
ნათია ზედელაშვილი

სტილისტ-რედაქტორი
ნათია დაღელიშვილი